

ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო დროს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების გახშირების, დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო სექტორის საქმიანობის შეზღუდვის აშკარა მცდელობის პასუხად, ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი 14 არასამთავრობო ორგანიზაცია ხელისუფლებას განცხადებით მიმართავს და გულახდილი, საფუძვლიანი დიალოგისკენ მოუწოდებს.

განცხადების რუსულენოვანი ვერსია იხილეთ ბმულზე <http://apsny-chp.org/opinions/?ID=267>

ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება

აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1994 წელს, აფხაზეთს აცხადებს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომლის ძირითად ფასეულობებს წარმოადგენს სამოქალაქო თავისუფლება, ადამიანის უფლებები, პოლიტიკური პლურალიზმი, საზოგადოებრივი ეკონომიკა და სხვა. შეუძლებელია, რომ კონსტიტუციის მიღების დღიდან პოლიტიკურმა ელიტამ და საზოგადოებამ მყისიერად შეიცვალოს იდეოლოგიური პარადიგმა და მკაცრად, შეგნებულად მიეცნენ თავისუფალი აფხაზეთის ძირითად კანონში ჩამოყალიბებულ სულისკვეთებას. საჭიროა დრო, რომ ქალაქებში ჩამოყალიბებული პრინციპები გახდეს არა საერთაშორისო ნორმებისადმი ხარკი, არამედ, პოლიტიკური კულტურის ნაწილი. ეს მასშტაბური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც შეუძლებელია ხელისუფლების, პოლიტიკური ჯგუფების და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარსულის ინერციის დამღევის მზაობის გარეშე.

რას, ვხედავთ ჩვენ კონსტიტუციის მიღებიდან 24 წლის შემდეგ? დემოკრატიული კონსტიტუციის წინააღმდეგ ღიად არცერთი პოლიტიკური პარტია არ გამოდის. რეალობაში კი, რიგი ჩინოვნიკების, პოლიტიკურის, თუ საზოგადო მოღვაწეების ძირითად კანონში ჩამოყალიბებული პრინციპებისადმი დამოკიდებულება, განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში, ნათლად გვაჩვენებს, რომ აღნიშნული პრინციპები ჯერ კიდევ, არ არის საკმარისად გათავისებული ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოში.

კანონებში, ბრძანებულებებსა და პროცედურებში, რომლებითაც რეგულირდება პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა, ფიქსირდება მოქალაქეთა უთანასწორობა, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების არარსებობა და კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები, ჩინოვნიკებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების აკრძალვა, სოციალურ ქსელებში დისკუსიების ფორმა, რომელიც ფაქტიურად განსხვავებული აზრისადმი სტალინური მეთოდებით ბრძოლის მოწოდებაა, არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ მიმართული რიგი ჩინოვნიკების კომენტარები, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის მოთხოვნის არარსებობა - ეს დღევანდელი საგანგაშო ტენდენციების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

ამავე, ჩამონათვალშია თავდასხმები აფხაზი დიპლომატების რამდენიმე თაობის მიერ შემუშავებულ, აფხაზეთის დეიზოლაციისკენ მიმართულ სტრატეგიაზე, რომლის არსებობაც აუცილებელია დამოუკიდებელი რესპუბლიკის ნაწილობრივ აღიარების პირობებში. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს რიგი ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის (გაერო-ს განყოფილებების ჩათვლით) აფხაზეთში შემოსვლის უსაფუძვლო აკრძალვები, აგრეთვე, აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან, იმ იშვიათი არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისკენ მიმართული კამპანიის უპასუხოდ დატოვება, რომლებიც მიუკერძოებლობას იჩენენ და თანმიმდევრულად მუშაობენ იმისთვის, რომ შეიქმნას აფხაზეთის მოქალაქეების თანაბარი წარმომადგენლობა და თანაბარი პირობები საერთაშორისო ფორუმებში. საუბარია იმ ორგანიზაციებზე,

რომლებიც ეწინააღმდეგებიან უცხოეთში დამკვიდრებულ აზრს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არასდროს, არ არსებობდა და არის მხოლოდ რუსული ინტერესები.

სიტყვიერად ქვეყნის ჩაკეტვას, არავინ არ აპირებს. რეალობაში კი, საქმე გვაქვს აფხაზეთის თვითიზოლაციასთან. ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოსათვის ასეთი პოლიტიკა დამლუპველია, რადგანაც არასამთავრობო ორგანიზაციების ხაზით გარე ურთიერთობების შეჩერებას გამოიწვევს და ეს იმ პერიოდში, როდესაც ოფიციალურ დონეზე გარე სამყაროსთან კონტაქტები შეზღუდულია.

შემფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ აფხაზურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების და მისი ძირითადი ინსტიტუტის არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის აუცილებლობის გაუაზრებლობის მაგალითები.

პარლამენტისადმი თავის ყოველწლიურ მიმართებებში პრეზიდენტს არაერთხელ აღუნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, პრეზიდენტის ბოლო მიმართვაში, დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის შესახებ არაფერი თქმულა. სამწუხაროა, რომ გართულებული საერთაშორისო კონტექსტის პირობებში, არასამთავრობო ორგანიზაციების თემა გამოიყენება, როგორც თავდასხმის მიზანი, რომლის „გამოვლენით“ ხდება ყურადღების გადატანა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან, რომლებიც რეალურად აწუხებს მოქალაქეებს. პირველ ყოვლისა, ეს არის კორუფცია, ჩინოვნიკების პროფესიონალიზმის დაბალი დონე, ადმინისტრაციული რესურსის პირადი გამდიდრებისთვის გამოყენება, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა ხელფასები, რომლებიც საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალია, ბიზნესის წარმოებისთვის არათანაბარი პირობები, დამწყები მეწარმეებისთვის რეალური ხელშეწყობის არარსებობა, დავიწყებული სოფლის მკვიდრნი, კრიმინოგენული ვითარების გაუარესება, კანონის უზენაესობასთან მიმართებით ქურდული კანონების პრიორიტეტი, ტრადიციების დამახინჯება და ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევების გახშირება, განხეთქილება საზოგადოებაში და მრავალი სხვა.

ამ პრობლემებზე პასუხისმგებელი პირველ რიგში ხელისუფლებაა. თუმცა, სერიოზული საუბრისა და შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიების ნაცვლად, ზოგიერთი მოღვაწე იყენებს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ცნობილ მეთოდებს, საზოგადოებას თავს ახვევს არასამთავრობო ორგანიზაციის სახით უსაფუძვლო საფრთხის თემას.

ამის მიუხედავად, რუსეთის და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ექსპერტები აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოებას აფასებენ, როგორც მძლავრ ინსტიტუტს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს რესპუბლიკის, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ დღეებში, სამთავრობო ვებგვერდზე გამოქვეყნებულ იქნა აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დავალებათა ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ ჩასატარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის აკრძალვას. აგრეთვე, დავალებათა ჩამონათვალში ნათქვამია აფხაზეთის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, აფხაზეთის კონსტიტუციაში უკვე დამტკიცებულია საბაზო ღირებულებები, რომლებსაც აფხაზეთის სახელმწიფო ეყრდნობა. იბადება კითხვა: კიდევ, რომელ დამატებით ან ახალ იდეოლოგიაზეა საუბარი? სუვერენობა, სამოქალაქო თავისუფლებები, საერო სახელმწიფო, ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს, ისეთ მახასიათებლებთან ერთად, როგორიცაა-სამართლებრივი, მიმართული ნაციონალური კულტურის და ენის შენარჩუნებისკენ, სოციალურად ორიენტირებული - წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს ღირებულებათა ფუნდამენტს. თუ ჩვენ ახალი იდეოლოგიის შექმნის ამოცანას ვაყენებთ გამოდის, რომ ჩვენ ამ ღირებულებების შეცვლას ვაპირებთ?!

მსგავსი ტენდენციები, როგორც დე-ფაქტო, ისე დე-იურე აფხაზეთის სახელმწიფო მოწყობის საფუძვლის რევიზიის საშიშროებას შეიცავს. იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ამ

საგანგაშო სიგნალებს, შესაძლებელია, ვერც შევამჩნიოთ, როგორ შევბრუნდებით ავტორიტარიზმის, ვოლუნტარიზმის, ეთნოკრატიისა და უფლებების დარღვევის მხარეს. ამ ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს აფხაზური საზოგადოების ერთიანობის რღვევა, რაც მკვეთრად შეამცირებს ქმედუნარიანი სახელმწიფოს მშენებლობის და რესპუბლიკის სუვერენიტეტის გამყარების შანსებს.

დარწმუნებულები ვართ, რომ სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული ურთიერთობა სახელმწიფოს პროგრესული განვითარებისთვის დიდი რესურსია. სწორედ, რომ ერთობლივი მუშაობით გახდა შესაძლებელი უამრავი პრობლემის მოგვარება, რომელთა გადაწყვეტაც უფრო მძლავრ სახელმწიფოებშიც, ვერ ხერხდება. ამის მაგალითებია-სათამაშო ბიზნესზე აკრძალვის შემოღება, შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის მისაწვდომი გარემოს შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი კანონები, დამატებითი განათლებისა და ბავშვების განვითარების პირობების შექმნა, საზოგადოებრივი მისაღებების ამუშავება, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, იურისტებმა შეძლეს ასობით ადამიანისთვის დახმარების გაწევა და მრავალი სხვა.

თავისი არსებობის მანძილზე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახერხეს დიდი რაოდენობით პროგრამების და იდეების განხორციელება. ესენია: მოსახლეობის მოწყვლადი ფენებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, მრავალრიცხოვანი საქველმოქმედო აქცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და ომის ვეტერანებისთვის სამედიცინო პროგრამები, მოქალაქეების იურიდიული კონსულტაცია და კლიენტის ინტერესების დაცვა სასამართლოში, გარემოს დაცვის პროგრამები, კონონმდებლობის რეფორმირების მიზნით წინადადებების შემუშავება, ეფექტური მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით ანალიტიკური სტატიების პუბლიკაცია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. ყოველივე ეს მოწმობს იმაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების შესაბამის მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს. ეს სამუშაო აფხაზური კანონმდებლობის მკაცრი დაცვით ხორციელდება. ეს ყოველთვის ესმოდათ აფხაზეთში და ამიტომაც, ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა რეზულტატის მიღწევა ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კონსტრუქციული თანამშრომლობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

დღეს კი, არასამთავრობო ორგანიზაციების ირგვლივ ხელოვნურად იქმნება ნეგატიური საინფორმაციო ფონი. ჩვენ ვთვლით, რომ შექმნილი სიტუაცია არაჯანსაღ ხასიათს ატარებს, არ შეესაბამება ჩვენი კონსტიტუციის სულისკვეთებას და ჩვენს, ისედაც გახლეჩილ საზოგადოებაში, კიდევ ერთი გამყოფი ხაზი შემოაქვს.

ჩვენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, არ შეგვიძლია გულგრილად ვადევნოთ თვალი ჩვენს სახელმწიფოში მიმდინარე საგანგაშო პროცესებს. იმედი გვაქვს, რომ ეს ტენდენციები უმეტეს წილად წარმომადგენს ხარვეზს და არა დემოკრატიული მონაპოვარიდან მიზანმიმართულ გადახვევას. გვიწევს იმის კონსტატირება, რომ დემოკრატიულ დეკლარაციებსა და რეალობას შორის რღვევა წარმოიქმნა და ამიტომაც მომწიფდა გულახდილი საუბრის აუცილებლობა იმის გასარკვევად, არის თუ არა საზოგადოებაში აფხაზეთის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების გზების ერთიანი ხედვა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ მხარეს გულახდილი და საფუძვლიანი საუბრისკენ.

23.06.2018

Общественная благотворительная организация "Центр гуманитарных программ"

Сухумский Дом Юношества (благотворительный фонд)

Общественная организация «Амилат ресурсуа»

Общественная организация «Международный фонд Апсны»

Культурно-благотворительный фонд "Ашана"
Некоммерческое партнерство работодателей "Союз промышленников и предпринимателей Абхазии"
Благотворительный фонд "Детский фонд Абхазии"
Благотворительный фонд «Асаркья»
Общественная организация "Деловые женщины Абхазии"
Ассоциация родителей детей-инвалидов
Благотворительный фонд «Абхазский Общественный Фонд Развития"
Ассоциация "Инва-Содействие" (благотворительный фонд)
Культурно-благотворительный центр "Мир без насилия им. З. Ачба"
Фонд социально-культурных инициатив